ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნები, აუდიტორული რისკი და ფინანსური ანგარიშგების ძირითადი მტკიცებები

თეა უდესიანი
ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
udesiani.tea@gmail.com

თათია უდესიანი
დოქტორანტი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
tata.udesiani@gmail.com

საკვანძო სიტყვები: ფინანსური ანგარიშგება, აუდიტორული რისკი

აუდიტორული საქმიანობის ძირითადი მიზანია სამეურნეო სუბიექტის მიერ განხორციელებული ფინანსური და სამეურნეო ოპერაციების მოქმედ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და უტყუარობის დადგენა. აუდიტის შედეგად აუდიტორმა უნდა გამოხატოს თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება აუდიტის ობიექტის საქმიანობა დადგენილ კრიტერიუმებს. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების დროს აუდიტორის ამოცანა არის დასაბუთებული რწმუნების მოპოვება იმის შესახებ, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. აღნიშნული, აუდიტორს შესაძლებლობას მისცემს გამოთქვას მოსაზრება იმის შესახებ არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების შემოწმების ძირითად მიზნებად შეიძლება დავსახოთ:

- ანგარიშგების უტყუარობის დადასტურება;
- შესამოწმებელ პერიოდში საწარმოს საქმიანობის ანგარიშგებისა და ანგარიშგებაში შემოსავლებისა და ფინანსური შედეგების ასახვის სისრულის, უტყუარობის და სიზუსტის შემოწმება;
- საკუთარი კაპიტალის, ვალდებულებების, აქტივების ასახვის მეთოდოლოგიის შეფასების, ანგარიშგების წარმოებისა და ანგარიშგების შედგენის კანონმდებლობით და ნორმატიული დოკუმენტებით რეგულირების დაცვისადმი კონტროლი.
- საკუთარი ძირითადი და საბრუნავი სახსრების, ფინანსური რეზერვებისა და სესხის წყაროების რეზერვების გამოვლენა და უკეთ გამოყენება.

ფინანსური აუდიტის მიზნების მიღწევის პოზიციიდან აუცილებელია აუდიტის სეგმენტირება. აუდიტის სეგმენტირება შეიძლება ეწოდოს იმ ელემენტებს, რომელთა მიმართაც ჩატარდება აუდიტორული პროცედურები, ფინანსური ანგარიშგების მუხლების სისწორის კრიტერიუმებთან შესაბამისობის შესახებ მტკიცებულებების მოპოვების მიზნით. მაშასადამე, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საერთო მიზანს შეიძლება მივაღწიოთ იმ ქვემიზნების შესრულებით, რომლებიც დადგენილია აუდიტის თითოეული სეგმენტისათვის.

ფინანსური ანგარიშგების დაყოფა ელემენტებად ააადვილებს მასთან მუშაობას და აუდიტის პროცესის ორგანიზების დროს ხელს უწყობს კონკრეტული ამოცანების განაწილებას აუდიტის შემსრულებელი ჯგუფის წევრებს შორის. ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზნების მისაღწევად შეიძლება გამოვიყენოთ საერთაშორისო პრაქტიკაში აპრობირებული ორი მიდგომა: **მუხლობრივი და ციკლური.** განვიხილოთ თითოეული მათგანის მნიშვნელობა:

მუხლობრივი მიდგომა – გამოყოფილი აუდიტის სეგმენტები ფაქტობრივად ემთხვევა ბუღალტრული აღრიცხვის ობიექტებს და სამეურნეო ოპერაციების ტესტირება ტარდება ცალკეული საბუღალტრო ანგარიშების მიმართ, მტკიცებულებების განყენებულად მიღების თვალსაზრისით.

ციკლური მიდგომა – აუდიტის სეგმენტებად სამეურნეო ოპერაციების ციკლები გამოიყოფა. აუდიტი ტარდება სამეურნეო სუბიექტის სამეურნეო–საფინასო საქმიანობის თავისებურებების, გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემისა და დოკუმენტბრუნვის სისტემის გათვალისწინებით. ამიტომ, მიუხედავად საერთო მიდგომისა, თითოეული სამეურნეო სუბიექტისათვის აუდიტის სეგმენტირებას ინდივიდუალური თავისებურებები ექნება.

შეგვიძლია გამოვყოთ აუდიტის შემდეგი ციკლები:

- რეალიზაცია და ამონაგების მიღება;
- სასაქონლო და საანგარიშსწორებო ოპერაციები;
- შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება;
- კაპიტალის ფორმირება და მისი შემოსავლიანობა.

სამეურნეო სუბიექტის სააღრიცხვო ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ასევე შეიძლება გამოვყოთ შემდეგი საოპერაციო ციკლები:

- შესყიდვები;
- წარმოება;
- რეალიზაცია, შემოსავლების მიღება და ფინანსური შედეგის ფორმირება;

- ანაზღაურება;
- ინვესტირება;
- მოგების გამოყენება და კაპიტალის ფორმირება.

აუდიტის პროცესში თითოეული საოპერაციო ციკლის გამოკვლევა ცალკე უნდა მიმდინარეობდეს, რაც რთული, საფუძვლიანი შემოწმების ჩატარების საშუალებას მოგვცემს. ამასთან, შემოწმება ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დროულად გამოვლინდეს ციკლებს შორის ურთიერთ-კავშირი.

აუდიტის პროცესში მნიშვნელოვანია აუდიტორის მიერ აუდიტის რისკის სწორად შეაფასება. აუდიტორული რისკი ნიშნავს იმის ალბათობას, რომ აუდიტის ობიექტის ბუღალტრული ანგარიშგება შეიძლება შეიცავდეს გამო-უვლინებელ არსებით შეცდომებს ან დამახინჯებებს მისი უტყუარობის დადასტურების შემდეგ. იმის გამო, რომ შეუძლებელია შემოწმდეს ყველა ტრანზაქცია და ოპერაცია, აუდიტორმა უნდა შეაფასოს აუდიტორული რისკის დონე. აუდიტის მიზანია აუდიტორული რისკის შემცირება მისაღებ დაბალ დონემდე. აუდიტორული რისკი შეიძლება წარმოვადგინოთ ფორმულის სახით:

არ = თრ * კრ * შრ

განვიხილოთ აუდიტორული რისკის სამივე კომპონენტი:

1. თანდაყოლილი რისკი (თრ): დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სამეურნეო სუბიექტზე საბაზრო პირობების ზემოქმედების ხარისხი, ფირმის ფულად სახსრებთან დაკავშირებული მდგომარეობა, კომპანიის საწარმოო საქმიანობის ისტორია, არაორდინალური ოპერა-ციების მოქმედების ხარისხი და სფერო. ეს არის შიდა რისკი, რაც გულისხმობს სუბიექტურად განსაზღვრული დამახინჯებების არსებობის რისკს ფინანსურ ანგარიშ-გებაში, ერთგვაროვან ოპერაციებში, კონკრეტულ ანგარიშში, და ა.შ. სანამ მას შიდა კონტროლის სისტემა აღმოაჩენს. თანდაყოლილი რისკის შესაფასებლად აუდიტორი იყენებს მოცემული სამეურნეო სუბიექტის წინა წლების აუდიტიდან მიღებულ გამოცდილებას და ასევე მიმართავს პროფესიულ განსჯას ზოგიერთი ფაქტორის შესაფასებლად.

2. კონტროლის რისკი (კრ): მდგომარეობს იმაში, რომ არსებითი დამახინჯება შეიძლება წარმოიქმნას ანგარიშის ნაშთში ანდა ოპერაციის კლასში და არ იქნას გამოვლენილი და აღმოფხვრილი ბუღალტრული აღრიცხ-ვისა და შიდა კონტროლის სისტემის მიერ. ეს არის რისკი, რომელიც აუდიტორის მიერ სუბიექტურად განსაზღვრული ალბათობაა იმისა, რომ საწარმოში აღრიცხვისა და კონტრო-ლის არსებული სისტემა დროულად არ აღმოაჩენს და შეასწორებს არსებით დარღვევებს. კონტროლის რისკი დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორიცაა სამეურ-ნეო ერთეულის კონტროლის გარემო, მათ შორის სისტე-მის მმართველი პერსონალის პატიოსნება, ხელმძღვანე-ლობის საზედამხედველო კონტროლის დონე და ცალკეული ანგარიშების მიმართ დაწესებული კონტროლის პროცედუ-რების სიძლიერე. რაც უფრო დაბალია კონტროლის რისკის შეფასება, მით მეტი მტკიცებულებების შეკრება არის საჭირო იმის დასამტკიცებლად, რომ სისტემები სათანადოდ არის დაპროექტებული და მუშაობს ეფექტურად.

3. შეუმჩნევლობის რისკი (შრ): რისკი მდგომარეობს იმაში, რომ აუდიტორის დამოუკიდებელი პროცედურები ვერ აღმოაჩენს არსებითი ხასიათის დამახინჯებებს ანგარიშგების ნაშთებში ან ოპერაციათა კლასებში. ეს არის რისკი, რომელიც აუდიტორის მიერ სუბიექტურად განსაზღვრული ალბათობაა იმისა, რომ აუდიტისას გამო-ყენებული აუდიტის პროცედურები არსებითი დარღვევის გამოვლენის საშუალებას არ იძლევა. შეუმჩნევლობის რისკი დამოკიდებულია აუდიტორის მიერ არჩეული პროცედურების ბუნებაზე, სიდიდესა და დროულობაზე.

თანდაყოლილი რისკი და კონტროლის რისკი გან-სხვავდება შეუმჩნევლობის რისკისგან, რადგან ისინი არის განსაზღვრული აუდიტის ობიექტის მიერ და მათ ერთობლიობას არსებითი უზუსტობების რისკს უწოდებენ. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით არსე-ბითი უზუსტობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება შეიცავს არსებით უზუსტობას აუდიტის ჩატარე-ბამდე. აუდიტორის მიზანია თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკების გამოვლენა და შეფასება ფინანსური ანგარიშგებისა და მტკიცების დონეებზე, სამეურნეო სუბიექტისა და მისი გარემოს, მათ შორის მისი შიდა კონტროლის შესწავლის გზით, რითიც უზრუნველყოფს საფუძველს არსებითი უზუსტობის შეფასებულ რისკებზე რეაგირების მიზნით საპასუხო ქმედებების განსაზღვრისა და განხორციელებისათვის.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში როგორც წესი, ცალ-ცალკე არ განიხილება თანდაყოლილი და კონტროლის რისკები, არამედ ერთად ხდება არსებით უზუსტობების რისკის შეფასება. თუმცა აუდიტორს შეუძლია თვითონ გადაწყვიტოს თანდაყოლილ და კონტროლის რისკებს ცალ-ცალკე შეაფასებს თუ ერთად, მისთვის მიზანშეწონილი აუდიტის მეთოდიკისა თუ მეთოდოლოგიის და პრაქტიკული მოსაზრებებიდან გამომდინარე. ერთის მხრივ არსებობს კავშირი აუდიტორის მიერ შეფასებულ თანდაყოლილ და კონტროლის რისკსა და მეორეს მხრივ მისაღებ შეუმჩნევ-ლობის რისკს შორის. რაც უფრო მაღალი დონით აფასებს აუდიტორი თანდაყოლილ ან/და კონტროლის რისკს მით უფრო დაბალია შეუმჩნევლობის რისკი და შესაბამისად უფრო მაღალია საჭირო ტესტირების დონე, რათა მიღწეულ იქნას სასურველი აუდიტორული რისკი. აუდიტორმა უნდა შეაფასოს თანდაყოლილი რისკი და კონტროლის რისკი და ამაზე დაყრდნობით შეარჩიოს სათანადო პროცედურები, რათა შეამციროს შეუმჩნევლობის რისკი (შრ), რომელიც საბოლოო ჯამში მოგვცემს მთლიანი აუდიტორული რისკის დაბალ დონეს.

შრ = არ/(თრ*კრ)

ჩვეულებრივად აუდიტის საწყის ეტაპზე ფასდება რისკის დონე, მათ შორის თანდაყოლილი რისკი. იმისათვის რომ

შევაფასოთ თანდაყოლილი რისკი აუდიტორმა უნდა შეაფასოს ის გარემო რომელშიც ორგანიზაცია ფუნქციონირებს და უნდა შეისწავლოს მისი დამახასიათებელი ნიშან-თვისებები. საბოლოო დასკვნების გამოსატანად აუცილებელია სიღრმისეული განხილვა, მაგრამ ეს პროცესი არ უნდა გრძელდებოდეს დიდხანს. აუდიტორმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს (მხედველობაში მიიღოს) წინა წლებში ჩატარებული აუდიტის გამოცდილება. რისკების წინასწარი შეფასების მიზანი არის ის, რომ საშუალება მისცეს აუდიტორს ჩამოაყალიბოს წინასწარი დასკვნები აუდიტის ობიექტის შესახებ იმ საგნებზე (ოპერაციებზე) რასაც უტარდებათ აუდიტი.

აუდიტის პროცესის დროს აუდიტორი რაც უფრო მეტ დამოუკიდებელ ტესტების პროცედურებს ატარებს მით უფრო დიდია შანსი იმისა, რომ აღმოაჩინოს მატერიალური შეცდომები და უზუსტობები ფინანსურ ანგარიშგებაში, ამგვარად შეუმჩნევლობის რისკი უფრო ნაკლები იქნება. აუდიტორი რაც უფრო მეტ არსებით კონტროლის ტესტებს ატარებს, მით უფრო ამცირებს შეუმჩნევლობის რისკს და საბოლოო ჯამში ამას მივყავართ აუდიტის რისკის შემცირებისკენ.

მაგალითად: *როდესაც აუდიტორი ახდენს თანდაყოლილი რისკის თავდაპირველ შეფასებას აფასებს მას დაბალი დონით და ის განისაზღვრება ღირებულების 20%-ით. სისტემის სიღრმისეული შემოწმება და კონტროლის ტესტები გვიჩვენებს, რომ გონივრულად ჩამოყალიბებული კონტროლის სისტემა მუშაობს ეფექტურად გამონაკლისების გარეშე. ამის შემდეგ სისტემა ფასდება როგორც «საშუალო» და კონტროლის რისკს საზღვრავს 40 %, ხოლო მისაღებ აუდიტორული რისკს 1 %-ით. ამგვარად აუდიტორს ეძლევა საშუალება რომ გამოითვალოს საჭირო დამოუკიდებელი ტესტების მოცულობა.*

არ = 1 % = 0.01

თრ = 20% = 0.20

კრ = 40% = 0.40

*შრ = 0.01 / (0.2 * 0.4) = 0.125*

შეუმჩნევლობის რისკის საპირისპირო გარანტია, გარანტია რომელიც მოითხოვს დამოუკიდებელი ტესტების რაოდენობას, არის:

1.0 — 0.125 = 0.875 = 87.5 %

აუდიტრორმა ისე უნდა დაგეგმოს აუდიტის პროცესი, რომ გარანტირებული იყოს აუდიტის მაღალი ხარისხი. აუდიტის დაგეგმვისას, აუდიტორი უნდა ისწრაფოდეს იმისკენ, რომ შეაფასოს ყველა ის შეცდომების და უზუსტობების დონე, რომელიც სავარაუდოდ იმოქმედებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებზე. შემდეგ აუდიტორი უნდა დარწმუნდეს იმაში, რომ მიღებული აუდიტორული რისკი არ აყენებს საფრთხის ქვეშ აუდიტის ხარისხს.

აუდიტორული რისკის შესამცირებლად აუდიტორმა უნდა განსაზღვროს ფინანსური ანგარიშგების დონეზე გამოვლენილ მნიშვნელოვან უზუსტობებსა და რისკზე რეაგირების სტრატეგია. ასეთი რეაგირების მექანიზმი შეიძლება მოიცავდეს აუდიტის ჯგუფის მიერ ყურადღების გამახვილებას მტკიცებულებების შეგროვებაზე, რისკის შეფასების დროს საჭირო პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებაზე, ასევე შესაძლებელია უფრო გამოცდილი ან სპეციალური უნარ-ჩვევების მქონე პერსონალის ჩართვა აუდიტის პროცედურების განხორციელებისას. გარდა ამისა აუდიტორს შეუძლია შეცვალოს აუდიტის ჩატარების მეთოდების მოცულობა, ხასიათი და ვადები იდენტიფიცირებული რისკის შესაბამისად.

იმისათვის, რომ აუდიტორული შემოწმების პროცესი სწორად და რაციონალურად იყოს ორგანიზებული, აუდიტის ჩასატარებლად მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი, საკმარისი და აუცილებელი აუდიტორული პროცედურები შეირჩეს, აუცილებელია აუდიტორს ნათლად და სწორად ესმოდეს ფინასური ანგარიშგების აუდიტის მიზნები. აუდიტორმა ფინანსური ანგარიშგების უტყუარობისა და სამართლიანობის შესახებ რწმუნების მისაღებად უნდა მოიპოვოს საკმარისი რაოდენობის შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულობები, რომელსაც დაეყრდნობა მისი პროფესიული მოსაზრება. მტკიცებულობების შეკრება აუდიტში მიზანმიმართული პროცესია, რომლის რაციონალურად ორგანიზებისათვის აუდიტორი უნდა ხელმძღვანელობდეს გარკვეული ორიენტირებით — ფინანსური ანგარიშგების მუხლების სისწორის კრიტერიუმებით, რასაც აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებში ფინანსური ანგარიშგების მტკიცებები ეწოდება.

ფინანსური ანგარიშგება რომ ასახავდეს უტყუარ და სამართლიან თვალსაზრისს, ფინანსური ანგარიშგებისათვის დადგენილი ნორმატიული ბაზის შესაბამისად, აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობა ქმნის მტკიცებებს ფინანური ანგარიშგების სხავდასხვა ელემენტის აღიარების, გაზომვის, წარდგენისა და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების შესახებ. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით მტკიცებები არის სამეურნეო სუბიექტის ხელმძღვანელობის მიერ მკაფიოდ ან სხვაგვარად წარმოდგენილი ოფიციალური ინფორმაცია, რომელიც ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში და აუდიტორი იყენებს სხვადასხვა ტიპის პოტენციური უზუსტობების განსახილველად. როდესაც ხელმძღვანელობა აუდიტორებს წარუდგენს ოფიციალურ ცნობას შემდეგი სახით: „მთლიანობაში ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია სამართლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შესაფერისი საფუძვლების შესაბამისად“, ამგვარი განცხადება ფაქტობრივად გულისხმობს გარკვეული მტკიცებების არსებობას ფინანსურ ანგარიშგებაში. მტკიცება, რომელსაც შესაბამისი კონტროლი შეეხება უნდა იქნეს დოკუმენტურად ასახული.

ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი და ფინანსურ ანგარიშგებაში განსახიერებული მტკიცებები ეხება სხვადასხვა ელემენტების ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებას, გაზომვას, წარდგენასა და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნების განმარტებას. ხელმძღვანელობის მტკიცებების მაგალითებია:

- ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი არსებობს;
- რეალიზაციის ყველა ოპერაცია აისახა სათანადო საანგარიშგებო პერიოდში;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები) ასახულია შესაბამისი ღირებულებებით;
- კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტის რეალურ ვალდებულებებს;
- ბუღალტრულად ასახული ყველა ოპერაცია განხორციელდა აუდიტს დაქვემდებარებულ პერიოდში;
- ყველა თანხა სათანადოდ არის წარმოდგენილი და განმარტებული ფინანსურ ანგარიშგებაში.

ამგვარ მტკიცებებს ხშირად აერთიანებენ და ერთი სახელწოდებით მოიხსენიებენ, მაგალითად:

- **წარმოშობა** – დოკუმენტურად ასახული ოპერაციები და მოვლენები უკვე განხორციელდა და შეეხება აუდიტის ობიექტს;
- **სისრულე** – ყველა ოპერაცია და მოვლენა, რომელიც უნდა ასახულიყო ჩანაწერებში, დოკუმენტურად არის ასახული;
- **სიზუსტე** – ჩანაწერებში დოკუმენტურად ასახულ ოპერაციებთან და მოვლენებთან დაკავშირებული თანხები და სხვა მონაცემები სათანადოდ არის ასახული;
- **დროში გამიჯვნა** – ოპერაციები და მოვლენები ასახულია სწორ სააღრიცხვო პერიოდში;
- **კლასიფიკაცია** – ოპერაციები და მოვლენები ასახულია სათანადო ანგარიშებში;
- **გადახდილი ფასის შესაბამისობა** – დანახარჯებთან დაკავშირებული ოპერაცია არის ეკონომიური შენაძენი და რესურსების ეფექტიანი და მარგი გამოყენება;
- **შესაბამისობა** – ოპერაციები განხორციელდა ყველა შესაბამისი კანონისა და სხვა ნორმატიული აქტის შესაბამისად.

აუდიტორი მტკიცებებს იყენებს რისკის შესაფასებლად იმ პოტენციური უზუსტობების გათვალისწინებით, რომლებიც შეიძლება დაშვებული იქნეს და შეიმუშავებს ისეთ აუდიტორულ პროცედურებს რომელიც უპასუხებს შეფასებულ რისკს. ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებს აქვს სხვადასხვა რისკი, რომელიც არსებითია აუდიტისათვის. შესაბამისად, ამა თუ იმ კომპონენტის განხილვისას აუდიტორს უნდა შეეძლოს იმის განსაზღვრა რომელი მტკიცებაა უპირატესი. მაგალითად: აქტივებზე არსებობის მტკიცების ტესტირება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სისრულე. თავის მხრივ მიღებული შემოსავლების სისრულე უფრო მნიშვნელოვანია ვიდრე იმის დადგენა ფაქტობრივად განხორციელდა თუ არა ეს ოპერაცია. ეს შეიძლება ინდივიდუალური იყოს თითოეული აუდიტისათვის შესაბამისი სპეციპიკური რისკის გათვალისწინებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები (ISA).
2. აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო ოფიციალური დოკუმენტების ცნობარი (2009)..
3. ეფექტიანობის აუდიტის განხორციელების ძირითადი პრინციპები – INTOSAI-ს სახელმძღვანელო.
4. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ“. (2016).
5. საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“. (2011).
6. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. ფინანსური და შესაბამისობის აუდიტის სახელმძღვანელო. (2010).
7. საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (IPSAS).
8. უმაღლესი აუდიტორული ორგანიზაციების საერთაშორისო სტანდარტები (ISSAI).
9. ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტები (ISQC).
10. IFAC – აუდიტის ოფიციალური ტექნიკური დოკუმენტები.
11. ხარისხის კონტროლის, აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო დოკუმენტების ცნობარი. (2015).
12. შიდა აუდიტის პროფესიული პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტები.
13. International Standards of Auditing published by the IFAC.
14. Financial Audit Manual NAO-UK.
15. Ерофеева В. А. Пискунов В.А. Битиукова Т.А.(2010). Аудит. М. Юрайт.

AUDIT OBJECTIVES OF FINANCIAL STATEMENTS, AUDIT RISK AND BASIC ASSESSMENT OF FINANCIAL STATEMENTS

TEA UDESIANI
Business Administration Doctor
Akaki Tsereteli State University, Georgia
udesiani.tea@gmail.com

TATIA UDESIANI
PhD Student,
Akaki Tsereteli State University, Georgia
tata.udesiani@gmail.com

KEYWORDS: FINANCIAL REPORTING, AUDIT RISK

SUMMARY

The paper deals with the main objective of the audit activity which is expressed in determining compliance with the normative acts of financial and economic operations carried out by the economic entity.

The main goals of financial reporting are: Confirmation of reporting credentials; During the inspection period the reporting the enterprise's activities, checking the completeness, accuracy and accuracy of the revenue and the financial results; Equity, liabilities, assets, reflecting the methodology of evaluation, and reporting laws and normative documents regulating the protection of control; Identify and utilize reserve funds, financial reserves and loan sources of their own.

The achievement of the financial statements audit requires a segment of audit that can be carried out in the international practice through the subjective and cyclical approaches.

In the audit process it is also important to assess the audit's risk correctly, which is carried out by the following three components: the risk of risk, the risk of control and the risk of invisibility.

The official certificate presented by the management of the audit object is as follows: "In total, the financial statements are presented in accordance with the basis of the fair presentation of the fair financial statements", in fact the existence of certain the evidence in the financial statements.

The auditor uses the assertions to evaluate risk assessment by considering the potential inaccuracies that may be allowed to work and develop audit procedures that will assess the risk assessment. The components of financial reporting have different risks, which are essential for auditing. Consequently, when considering a component, the auditor should be able to determine which claim is predominant. For example: the evidence of the existence on assets is more important than completeness. The completeness of earnings in turn is more important than determining whether this operation was implemented or not. This may be individual for each audit taking into consideration the relevant specific risk.